



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

16 დეკემბერი 2024



N 701/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

თერჯოლის მუნიციპალიტეტში, შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიას“ 110 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის „ნახშირღელეს“ გაყვანაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიას“ (ს/კ 215147874) მიერ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში 2024 წლის 20 ივნისს (წერილი N6229) წარმოდგენილია თერჯოლის მუნიციპალიტეტში, 110 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის „ნახშირღელეს“ გაყვანის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და კანონით გათვალისწინებული თანდართული დოკუმენტაცია, რაზეც სააგენტომ უზრუნველყო საექსპერტო კომისიის შექმნა (ბრძანება N327/ს; 26/06/2024) და დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრისთვის გაგზავნა. წარმოდგენილი დოკუმენტაცია განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე. გზშ-ის ანგარიში მომზადებულია საკონსულტაციო კომპანია შპს „ჯეოკონის“ მიერ.

2023 წელს შპს „საერთაშორისო ენერჯო კორპორაციის“ მიერ, სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, წარმოდგენილ იქნა თერჯოლის მუნიციპალიტეტში, შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიას“ ფეროშენადნობთა საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებასა (წარმადობის გაზრდა) და 110 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის „ნახშირღელეს“ გაყვანაზე სკოპინგის ანგარიში, რაზეც სკოპინგის პროცედურის შედეგად დადგინდა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი და გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი საკითხები (სკოპინგის დასკვნა N8, ბრძანება N217/ს 19.05.2023). გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე შექმნილი რეალობის გათვალისწინებით ფეროშენადნობთა საწარმოს მიერ გამოშვებულ პროდუქტზე მოთხოვნის შემცირების გათვალისწინებით, დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (წარმადობის გაზრდა) განხორციელება დროებით შეჩერდა. შესაბამისად წარმოდგენილი გზშ-ის ანგარიში შეეხება მხოლოდ 110 კვ ელექტროგადამცემი ხაზი „ნახშირღელეს“ გაყვანის პროექტის განხორციელებას, საწარმოს ელექტრომომარაგების გაუმჯობესების მიზნით.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე (წერილი N 21/900), შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიას“ მიერ წარმოდგენილ იქნა პროექტთან დაკავშირებული დამატებითი/დაზუსტებული ინფორმაცია და დოკუმენტაცია (წერილი N10286). კერძოდ, დაზუსტდა ეგზ-ის ბუფერულ ზონაში არსებული ხე-მცენარეების შესახებ ინფორმაცია, სამშენებლო სამუშაოებისას წარმოქმნილი ატმოსფერული ჰაერის კონცენტრაციების შესახებ ინფორმაცია უახლოეს დასახლებებთან, მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ნარჩენების (კოდეები, დასახელება, რაოდენობა და შემდგომი მართვის ღონისძიებები) შესახებ ინფორმაცია და სხვა. ზემოაღნიშნული საკითხები განხილულ იქნა საექსპერტო კომისიის მიერ (ბრძანება N 613/ს 30/10/2024), დამატებით წარმოდგენილი

ინფორმაცია განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და დაინტერესებული საზოგადოებისთვის განისაზღვრა შენიშვნების წარმოდგენის ვადა.

ანგარიშის თანახმად, საპროექტო ეგზ-ის სიგრძე შეადგენს 7.5 კმ-ს. ეგზ-ის დერეფანში მოეწყობა 34 ერთეული საყრდენი ანძა (მათ შორის: 2 ერთეული Y110-3, 6 ერთეული Y110-3+5, 1 ერთეული YC110-3, 1 ერთეული YC110-3+14, 6 ერთეული Y110-4+5-3TP, 2 ერთეული Y110-2+14-3TP, 1 ერთეული AYT-30T, 6 ერთეული PC110-9, 9 ერთეული PC110-5), საიდანაც 19 ერთეული იქნება კუთხურ-ანკერული ტიპის, ხოლო 15 ერთეული - შუალედური ტიპის. ეგზ-ის საწყისი და საბოლოო წერტილების GPS კოორდინატებია: X - 312376.8, Y - 4673163.0; X - 318818.6, Y - 4676085.1. ეგზ-ის საწყისი წერტილი მდებარეობს, თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სოფ. კვახჭირში მდებარე ქვესადგურის („ქუთაისი 220“) ტერიტორიაზე. აღნიშნული ქვესადგურიდან, ეგზ-ის დერეფანი მიემართება მდ. წყალწითელასკენ, გადაკვეთს მის კალაპოტს და მიუყვება საერთაშორისო მნიშვნელობის (E60 თბილისი-სენაკი-ლესელიძე) საავტომობილო გზის (ს-1) დერეფანს, სოფ. ჭოგნარის მიმართულებით, რის შემდეგაც დერეფანი კვეთს ბროლის ქედს და მიემართება აღმოსავლეთის მიმართულებით, გადაკვეთს მდ. ჭიშურას ხეობას და სოფ. ნახშირღელეში უერთდება ქვესადგურ „ახალ ხალცედონს“. ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ეგზ-ის დერეფანი გადაკვეთს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებს, საავტომობილო გზას, რკინიგზას, ოპტიკურბოჭკოვან კაბელებს, ასევე 10 კვ, 35 კვ, 110 კვ და 220 კვ ძაბვის ეგზ-ებს. ეგზ-ის საპროექტო დერეფნიდან სოფ. ჭოგნარის უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე მანძილი არანაკლებ 260 მ-ია, ხოლო სოფ. ნახშირღელეს უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე 120 მ.

ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის ალტერნატიული ვარიანტების შესახებ. მათ შორის, განხილულია ეგზ-ის ტიპისა და დერეფნის ალტერნატივები, ასევე არაქმედების ალტერნატივა. გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია ეგზ-ის დერეფნის განთავსების სამი ალტერნატივა, რომელთა ურთიერთშედარების საფუძველზე და სხვადასხვა ფაქტორების, მათ შორის გარემოსდაცვითი და ტექნიკური საკითხების გათვალისწინებით, უპირატესობა მიენიჭა შერჩეულ ალტერნატიულ ვარიანტს, რომლის მიხედვით, ეგზ-ის გაყვანა დაკავშირებული იქნება სამშენებლო სამუშაოებისთვის მცირე ტერიტორიის ათვისებასთან. ანგარიშში განხილული საპროექტო ეგზ-ის ტიპის (საჰაერო და მიწისქვეშა) ალტერნატიული ვარიანტებიდან, გარემოსდაცვითი და ტექნიკური ფაქტორების გათვალისწინებით, უპირატესობა მიენიჭა საჰაერო ეგზ-ის მოწყობას.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, 33 ცალი საპროექტო საყრდენისათვის საძირკვლად გამოყენებული იქნება ანაკრები რკინა-ბეტონის ბლოკები, ხოლო ერთი (№34) საყრდენისათვის უნდა მოეწყოს ინდივიდუალური კონსტრუქციის ფოლადის საძირკველი. რკინაბეტონის საძირკვლების ქვეშ ქვაბულის ფსკერი მოსწორდება 10 სმ სისქის ხრემის ან ღორღის დატკეპნილი ფენით. საყრდენების დამიწება გათვალისწინებულია Φ-12 მრგვალი ფოლადის საშუალებით. სადენებად გამოყენებული იქნება ფოლად-ალუმინის, AC-150/34 მარკის სადენები. საჰაერო ეგზ საყრდენების კოროზიისაგან დასაცავად პროექტით გათვალისწინებულია ცხელი მოთუთიება. საჰაერო ეგზ-ის საყრდენებისთვის საძირკვლების პარამეტრები შერჩეულია საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების საფუძველზე.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ეგზ-ის მშენებლობის პროცესში სამშენებლო მასალებისა და აღჭურვილობის ტრანსპორტირებისათვის გამოყენებული იქნება ადგილობრივი მნიშვნელობის და დასახლებული პუნქტების მიმდებარე გრუნტის გზები, შერჩეული დერეფნის ძირითად ნაწილზე არსებობს მისასვლელი გზები, თუმცა იმ მონაკვეთებზე სადაც რთული რელიეფია, მოეწყობა ახალი მისასვლელი გზები.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, სამშენებლო ბანაკის მოწყობა არ არის გათვალისწინებული. საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისას არ იქნება მოწყობილი მუდმივი სამშენებლო მოედანი, სამუშაო უბნები განთავსდება ეგზ-ის გასწვრივ. პროექტის ფარგლებში ჩასატარებელი სამშენებლო სამუშაოების ვადა განსაზღვრულია 6 თვე. სამშენებლო სამუშაოები იწარმოებს მხოლოდ დღის საათებში. მშენებლობაზე დასაქმებული პერსონალის რაოდენობა მშენებლობის ეტაპზე იქნება 7-10 ადამიანი.

ლითონის საყრდენების სექციების აწყობა მოხდება უშუალოდ სამშენებლო მოედანზე სამონტაჟო ჭანჭიკების საშუალებით. სამშენებლო ბანაკების ტერიტორიებზე, სამშენებლო მასალების მწარმოებელი ობიექტების მოწყობა დაგეგმილი არ არის.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, ანძების საძირკვლების მოსაწყობად წარმოქმნილი გრუნტის რაოდენობა იქნება 4823 მ³. წარმოქმნილი გრუნტის ძირითადი ნაწილი გამოყენებული იქნება ანძების საძირკვლების თხრილების შესავსებად და გზების ვაკისებისათვის ყრილების მოსაწყობად. ფუჭი ქანები დროებით დასაწყობებული იქნება სამშენებლო ტერიტორიის მიმდებარედ. გრუნტი დასაწყობებული იქნება იმგვარად რომ არ მოხდეს ინტენსიური ატმოსფერული ნალექის შედეგად მისი წარეცხვა.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე მოიხსნება ნიადაგის ნაყოფიერი ფენა. ანძების საძირკვლების ტერიტორიებზე მოსახსნელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის საერთო მოცულობა დაახლოებით იქნება 886 მ³. მოხსნილი ნაყოფიერი ფენა ცალ-ცალკე დასაწყობდება სპეციალურად გამოყოფილ ტერიტორიებზე. მშენებლობის დასრულების შემდგომ დასაწყობებული ნაყოფიერი ფენა გამოყენებული იქნება დაზიანებული უბნების აღდგენა/რეკულტივაციის სამუშაოებისთვის. სარეკულტივაციო სამუშაოები განხორციელდება „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების მიხედვით.

ეგბ-ის საპროექტო მონაკვეთი კვეთს სახელმწიფო და კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებს. ეგბ-ს დაცვის ბუფერში მოხვედრილი მიწის ნაკვეთების შესახებ ინფორმაცია მოცემულია გზმ-ის ანგარიშში. წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ეგბ-ის ბუფერში არსებულ მიწის ნაკვეთების ნაწილთან გაფორმებულია შესაბამისი შეთანხმება, ხოლო ნაწილზე მიმდინარეობს მოლაპარაკება. პროექტი არ საჭიროებს ფიზიკურ განსახლებას.

გზმ-ის ანგარიშში შესრულებული გაანგარიშების თანახმად, როცა ყველა სამშენებლო ტექნიკა - თვითმცლელი, ამწე-მექანიზმები, და ექსკავატორი ერთდროულად მუშაობს, ხმაურის დონე მანქანა-დანადგარების უშუალო სიახლოვეში არ აღემატება 91 დბა-ს. უნდა აღინიშნოს, რომ ძირითადი ხმაურის წარმომქმნელი სამუშაოები განხორციელდება ანძების მშენებლობის წერტილებში, დღის საათებში. დოკუმენტის თანახმად, ჩატარებული გაანგარიშებების მიხედვით სამშენებლო მოედნიდან 50 მეტრში მოსალოდნელი ხმაურის დონე იქნება 59.7 დბა, ხოლო საქმიანობის სპეციფიკის და მოსახლესთან დაცილების (120 მ) გათვალისწინებით მოსალოდნელი ხმაურის დონეების კანონმდებლობით დადგენილ ნორმებზე გადაჭარბება მოსალოდნელი არ არის. ხმაურით გამოწვეული ზემოქმედების შემცირების მიზნით, გზმ-ის ანგარიშში ასევე მოცემულია შემარბილებელი ღონისძიებები, მათ შორის შედარებით სენსიტიურ მონაკვეთზე ერთდროულად მომუშავე ხმაურწარმომქმნელი წყაროების რაოდენობის შემცირება, უზრუნველყოფილი იქნება მანქანა-დანადგარების ტექნიკური გამართულობა და სხვა. ამასთან, ზემოქმედება იქნება დროებითი და მოკლევადიანი, სამუშაოები შესრულდება მხოლოდ დღის საათებში, ამასთანავე საცხოვრებელ ზონებსა და სამშენებლო მოედნებს შორის არსებული ხელოვნური და ბუნებრივი ბარიერები გარკვეულად შეამცირებს ხმაურის გავრცელების დონეებს.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების გამოყენება არ არის გათვალისწინებული, ვინაიდან სამშენებლო მასალები საპროექტო ტერიტორიაზე მზა სახით შემოვა. მშენებლობის ეტაპზე, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ემისიების მთავარი წყაროები იქნება შედუღების აპარატი, მიწის სამუშაოები, სამშენებლო ტექნიკა, დიზელ-გენერატორი და სატრანსპორტო საშუალებები. სამშენებლო ტექნიკის ძრავების მუშაობისას ადგილი ექნება მცირე რაოდენობით წვის პროდუქტების ემისიებს, შედუღების აეროზოლებს, ხოლო გრუნტიან გზებზე გადაადგილებისას არაორგანული მტვრის გავრცელებას. ეგბ-ს ექსპლუატაციის ეტაპზე, კერძოდ სარემონტო-პროფილაქტიკური სამუშაოების პროცესში, მავნე ნივთიერებათა ემისიების რაოდენობა იქნება უმნიშვნელო. მშენებლობის ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ემისიების მინიმუზაციის მიზნით გათვალისწინებულია შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები. გზმ-ის

ანგარიშის თანახმად, გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება ასევე არ არის მოსალოდნელი ელექტრომაგნიტური ველების გავრცელების კუთხით, ამასთან დაცული იქნება საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის N366 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესი და მათი დაცვის ზონები“ დადგენილი მანძილები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები და არქეოლოგიური ობიექტები არ ფიქსირდება. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ცნობით, საპროექტო არეალი არ ხვდება კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების ინდივიდუალური დაცვის არეალში. ანგარიშში აღნიშნულია, რომ მიწის სამუშაოების განხორციელების პროცესში კულტურული მემკვიდრეობის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ შეჩერდება სამუშაოები და ეცნობება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს.

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, საპროექტო ტერიტორია, თანდართული დოკუმენტაციისა და სააგენტოში არსებული ინფორმაციის საფუძველზე, წიაღზე დამაგრებას არ ექვემდებარება.

ანგარიშში განხილულია ეგზ-ის საქმიანობით გამოწვეული კუმულაციური ზემოქმედება, ანგარიშის თანახმად საპროექტო ეგზ კვეთს და ასევე მის სიახლოვეს გადის რამდენიმე ელექტროგადამცემი ხაზი, თუმცა მოსახლეობიდან დაცილების (120 მ) გათვალისწინებით ელექტრული ველების გავრცელების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. კუმულაციური ზემოქმედება ექსპლუატაციის ეტაპზე ძირითადად მოსალოდნელია არსებულ ეგზ-ებთან ერთად შექმნილი ხელოვნური ბარიერით გამოწვეულ ფრინველთა დაზიანების ან დაღუპვის გაზრდილ რისკებთან. მოსალოდნელი ზემოქმედების შემცირების მიზნით, ანგარიშის თანახმად აღნიშნულ მონაკვეთებზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ანგარიშში მოცემული შემარბილებელი ღონისძიებების გატარებას და მონიტორინგის წარმოებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, თითოეული ანძის ტერიტორიაზე გაბურღულია ჭაბურღილი და მოცემულია თითოეული ჭაბურღილის ლითოლოგიური ჭრილები. საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის თანახმად, საპროექტო დერეფანს და მის მიმდებარე ტერიტორიის გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობენ ნალექები დაწყებული იურულიდან დამთავრებული თანამედროვე ასაკით. საკვლევ ტერიტორიაზე გამოიყოფა 6 საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი: სგე I – დენადპლასტიკური კოსისტენციის თიხნარი გრუნტი; სგე II- ძნელპლასტიკური კოსისტენციის თიხა გრუნტი; სგე III - მყარი კოსისტენციის თიხა გრუნტი; სგე IV - ქვიშა გრუნტი; სგე V - მსხვილნატეხოვანი გრუნტი და სგე VI - გამოფიტული კირქვა. გეომორფოლოგიური, ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულიდან გამომდინარე, სამშენებლო მოედანი მიეკუთვნება III (რთულ) კატეგორიას. საკვლევ უბანზე გრუნტის წყლების გამოსავლები დაფიქსირდა N1-15 ჭაბურღილში. წყლის გამოჩენის სიღრმეები მერყეობენ 2-5 მ-მდე. გრუნტის წყლები არ ამჟღავნებს აგრესიულობას არცერთი მარკის ბეტონის მიმართ, რკინის კონსტრუქციების მიმართ სუსტად აგრესიულია პერიოდულად დასველების დროს და არ არის აგრესიული მუდმივი დაძირვის პერიოდში. სეისმური საშიშროების რუკის მიხედვით საკვლევ ტერიტორია მიეკუთვნება 8 ბალიან სეისმური აქტივობის ზონას, შესაბამისად გრუნტების სეისმური თვისებებისა და რეგიონის სეისმურობის გათვალისწინებით, სამშენებლო მოედნის სეისმურობად მიღებულია - 8 ბალი. არსებული ინფორმაციით №27, 28 საპროექტო ანძებიდან 40-50 მეტრში მდ. ყვირილას მარჯვენა ფერდობზე, ქუთაისის შემოვლითი მაგისტრალის მიმდებარედ, ფიქსირდება აქტიურ დინამიკაში მყოფი მასშტაბური მეწყრული სხეული. საპროექტო ეგზ-ის ანძების მისასვლელი დროებითი გზების გაყვანის და საძირკვლების ადგილების მომზადების დროს საშიში გეოდინამიკური პროცესების განვითარების რისკების მინიმიზაციის მიზნით ანგარიშში მოცემულია შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები: სამშენებლო სამუშაოების დამთავრების შემდეგ ანძების განთავსების ადგილების რეკულტივაციის სამუშაოები, ნიადაგის ნაყოფიერი ფენის შეტანა და

მრავალწლიანი ბალახების დათესვა, სანიაღვრე წყლების ორგანიზებულად მართვის მიზნით სადრენაჟე არხების მოწყობა, მშენებლობის და ექსპლუატაციის ეტაპზე მეწყრული და ეროზიული პროცესების მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ღონისძიებების გატარება და სხვა.

წარმოდგენილი shp ფაილების მიხედვით, ელექტროგადამცემი ხაზის N5-N6 ანძებს შორის მონაკვეთი კვეთს მდ. წყალწითელას, ხოლო N31-N32 ანძებს შორის მონაკვეთი კვეთს მდ. ჭიშურას. ელექტროგადამცემი ხაზიდან (N6 საყრდენი) უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი (მდ. წყალწითელა) მდებარეობს დაახლოებით 55 მეტრის დაშორებით. ანგარიშის თანახმად, ეგხ-ის მშენებლობის პროცესში მდინარეების და ხეობების აქტიურ კალაპოტებში რაიმე სამუშაოები დაგეგმილი არ არის. ანგარიშის თანახმად, პროექტის მიხედვით ტექნიკური დანიშნულებით წყლის გამოყენება გათვალისწინებული არ არის. სამეურნეო-ფეკალური წყლების მართვა მოხდება ჰერმეტიკული საასენიზაციო ორმოების და ბიოტუალეტების საშუალებით, რომელთა დაცლა მოხდება პერიოდულად. სანიაღვრე წყლების პოტენციურად დამაბინძურებელი უბნები დაცული იქნება ატმოსფერული ნალექებისგან და სანიაღვრე წყლების ორგანიზებულად მართვის მიზნით მოწყობა სადრენაჟე არხები. სამუშაოების წარმოების პროცესში საწვავის მარაგის შექმნის მიზნით რეზერვუარების მოწყობა არ იგეგმება. ზედაპირული და გრუნტის წყლების დაბინძურების რისკები უკავშირდება მშენებლობის ეტაპზე წარმოქმნილი ნარჩენების არასწორ მართვას. ნავთობპროდუქტების და სხვა ნივთიერებების შემთხვევით დაღვრას და ა.შ. გზშ-ის ანგარიშში მოცემულია შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ფლორისტული შეფასება მოიცავდა მთლიან დერეფანში არსებული ჰაბიტატების გამოვლენასა და იქ შეხვედრილ მცენარეთა აღწერა-იდენტიფიკაციას. საპროექტო დერეფანი გადაკვეთს ევროპის ბუნების ინფორმაციული სისტემის (EUNIS) ჰაბიტატების ნუსხის მიხედვით კლასიფიცირებულ ერთ ჰაბიტატს J - აშენებული, სამრეწველო ან სხვა ანთროპოგენური ჰაბიტატები. წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, 2024 წლის ოქტომბრის თვეში შესწავლილი იქნა ეგხ-ის დერეფანში არსებული ხე-მცენარის ზოგადი ფიზიკური მდგომარეობა და წარმოდგენილ იქნა ბუფერულ ზონაში არსებული ხე-მცენარეების მონაცემები მათი სახეობების, რაოდენობისა და სხვა პარამეტრების მითითებით. ეგხ-ის დერეფანში ძირითადად გვხვდება თეთრი ვერხვი (*Populus alba*), გლედიჩია (*Gleditsia*), შავი ვერხვი (*Populus nigra*), ძელქვა (*Zelkova*), თუთა (*Morus*), აკაცია (*Acacia*), ცრუ აკაცია (*Robinia pseudoacacia*), თელა (*Ulmus*), აილანტე (*Ailanthus altissima*), ჯაგრცხილა (*Carpinus orientalis*) და სხვა. ანგარიშის თანახმად, არსებობის შემთხვევაში, საქართველოს წითელი ნუსხის სახეობების გარემოდან ამოღება მოხდება „საქართველოს წითელი ნუსხისა და წითელი წიგნის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

საველე კვლევების და არსებული სამეცნიერო ლიტერატურული ინფორმაციის დამუშავების შედეგად მთელ საპროექტო არეალში და მის მიმდებარე ადგილებში გამოვლენილია ძუძუმწოვრების 30, ხელფრთიანების 15, ფრინველების 100-ზე მეტი, ქვეწარმავლების და ამფიბიების 14 სახეობა. წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ლიტერატურული წყაროების და ჩატარებული კვლევების შედეგების მიხედვით საკვლევ არეალში დაცული სახეობებიდან გავრცელებულია წავი (*Lutra lutra*). არსებობს მცირე ალბათობა, რომ საპროექტო ტერიტორიაზე მოხვდეს შველი (*Capreolus capreolus*) და ფოცხვერი (*Lynx lynx*). საველე კვლევისას, დაფიქსირდა ტურის (*Canis aureus*), ვირთაგვას (*Rattus sp.*), თხუნელას (*Talpa sp.*) და მღრნელების კვალი. ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით საპროექტო ტერიტორიაზე და მის მიმდებარე ტერიტორიებზე შესაძლოა მოხვდეს ხელფრთიანთა შემდეგი სახეობები: დიდი ცხვირნალა *Rhinolophus ferrumequinum*, მცირე ცხვირნალა *Rhinolophus hipposideros*, წვეტყურა მლამიობი *Myotis blythii*, ულვაშა მლამიობი *Myotis mystacinus*, მეგვიანე ღამურა *Eptesicus serotinus*, წითური მელამურა *Nyctalus noctula*, ჩვ. ფრთაგრძელი *Miniopterus schreibersii*, ჯუჯა ღამორი *Pipistrellus pipistrellus* და სხვა. აქამდე ჩატარებული კვლევებით და არსებულ ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით საკვლევ ტერიტორიაზე და მის არეალში არსებულ ჰაბიტატებში აღწერილია ფრინველთა 100-ზე მეტი სახეობა. დაცული სახეობებიდან საპროექტო ტერიტორიაზე ბინადრობს და ბუდობს ველის (ან გრძელფეხა) კაკაჩა

Buteo rufinus; მიგრანტი სახეობები არიან: ველის ძელქორი (ან ველის ბოლობეჭედა) Circus macrourus, თეთრწარბა შაშვი Turdus iliacus და დიდი მყივანი არწივი Clanga clanga; ხოლო გასამრავლებლად შემოდის მხოლოდ მდელოს მწყერჩიტა Anthus pratensis, ჩვეულებრივი გვრიტი Streptopelia turtur და მცირე (ან ველის) კირკიტა (Falco naumanni). გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, მშენებლობისა და ექსპლუატაციის ფაზაზე, საპროექტო უბნის ტერიტორიაზე არსებულ ფლორისა და ფაუნის სახეობებზე მოსალოდნელია გარკვეული სახის ზემოქმედება, რაზეც გატარდება გზშ-ის დოკუმენტში წარმოდგენილი შემარბილებელი ღონისძიებები, მათ შორის: სამუშაოების დაწყებამდე ტერიტორიების შემოწმება ცალკეული სახეობების საბუდარი ადგილების/სოროების გამოვლენის მიზნით; თხრილების და მშენებლობის პროცესში დატოვებული სხვა მსგავსი სახიფათო უბნების შემოღობვა; ელექტროსადენების ერთმანეთისგან დაშორების მანძილის განსაზღვრა; ფრინველების ელ. სადენებთან შეჯახების რისკების შემცირების მიზნით სენსიტიურ მონაკვეთებზე სადენების მარკირება და სხვა.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე მოსალოდნელია როგორც სახიფათო, ასევე არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. არასახიფათო ნარჩენებიდან წარმოიქმნება მიწის სამუშაოების დროს ამოღებული გრუნტი, რომელიც ძირითადად გამოყენებული იქნება უკუყრისთვის ანძების სიცარიელების ამოსავსებად, ელექტროსადენების ნარჩენები, საყოფაცხოვრებო ნარჩენები და სხვა. სახიფათო ნარჩენებიდან წარმოიქმნება საწმენდი მასალები, საღებავის ნარჩენები და სხვა. პროექტის მშენებლობის და ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი ნარჩენები, კლასიფიცირებული იქნება მათი სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით. გარდა ამისა, ნარჩენების დროებითი დასაწყობებისთვის სამშენებლო მოედნებზე განთავსდება სათანადო მარკირების მქონე დახურული კონტეინერები. მშენებლობის ეტაპზე წარმოქმნილი სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების შემდგომი მართვა განხორციელდება ამ საქმიანობაზე სათანადო ნებართვის მქონე კონტრაქტორების მიერ. ნარჩენებით გარემოს დაბინძურების პრევენციის მიზნით, გზშ-ის ანგარიშში განსაზღვრულია შემარბილებელი ღონისძიებები.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელების მიზნით სააგენტომ უზრუნველყო წარმოდგენილი დოკუმენტაციის სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრში გაგზავნა. სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა უზრუნველყო საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის განთავსება გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე და ინფორმაცია გაეგზავნა ცენტრის ყველა გამომწერს ელ. ფოსტის მეშვეობით. ინფორმაცია ასევე გაიგზავნა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში და გამოქვეყნდა ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებში. გარდა ამისა, საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ ინფორმაცია ასევე გამოქვეყნდა გაზეთში. გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვები გაიმართა 2024 წლის 6 და 7 აგვისტოს, თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფ. ნახშირღელეს, სოფ. ჭოგნარის და სოფ. კვახჭირის ადმინისტრაციული ერთეულების შენობებში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიას“, საკონსულტაციო კომპანია შპს „ჯეოკონის“, მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები და დაინტერესებული საზოგადოება. პრეზენტაციის წარდგენის შემდგომ სხდომა გადავიდა კითხვა-პასუხის რეჟიმში. საჯარო განხილვაზე დასმული საკითხები ეხებოდა მშენებლობის დაწყებამდე ეგზ-ის ბუფერში არსებული მიწების გამოყენებას და ნაკვეთების შესაკუთრების ინფორმირებას, ხმაურის გავრცელებას, უსაფრთხოების ნორმებს და სხვა. საჯარო განხილვაზე გამოთქმული კითხვები და შესაბამისი განმარტებები აისახა საჯარო განხილვების სხდომის ოქმებში. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, პროექტთან დაკავშირებით სააგენტოში წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები არ დაფიქსირებულა.

გზშ-ის ანგარიშს თან ახლავს საქმიანობის გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა, გარემოზე მოსალოდნელი ნეგატიური ზემოქმედებების შემარბილებელი ღონისძიებები, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა, დასკვნები და რეკომენდაციები.

გზშ-ის ანგარიში განიხილეს შესაბამისმა ექსპერტებმა და სპეციალისტებმა გარემოსდაცვითი შეფასების სხვადასხვა მიმართულებით, რომელთა დასკვნების შეჯერებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების, ასევე „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის მე-3 პუნქტის 3.4 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება თერჯოლის მუნიციპალიტეტში, შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიას“ 110 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის „ნახშირღელეს“ გაყვანაზე;
2. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა განუსაზღვრელი ვადით;
3. შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიამ“ საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშისა და თანდართული დოკუმენტაციის, გარემოსდაცვითი მონიტორინგის და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმების, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, მათ შორის ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების, შერბილების და თავიდან აცილების ქმედებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად. ასევე, საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს გეოლოგიურ ნაწილში მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებითა და ქვეყანაში მოქმედი სტანდარტების, სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით;
4. შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიამ“ მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს განახლებული ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის გეგმის სააგენტოსთან შეთანხმება, სადაც აისახება ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის კუთხით განსახორციელებელი ქმედებების სააგენტოსთან ანგარიშგების პერიოდულობის საკითხი. ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის გეგმა ასევე უნდა მოიცავდეს შემარბილებელი ღონისძიებების (განსაკუთრებით ფრინველთა დამაფრთხობლების ე.წ. ჩიტამრიდების) ეფექტიანობაზე დაკვირვების საკითხს, მონიტორინგის შედეგების მიხედვით, საჭიროების შემთხვევაში დამატებითი შემარბილებელი/პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელების მიზნით;
5. შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიამ“ მაღალი სენსიტიურობის მქონე ტერიტორიებზე უზრუნველყოს ფრინველთათვის დამაფრთხობელი საშუალებების განთავსება (ეგზ-ს სადენების მარკირება);
6. შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიამ“ მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს ჭრას დაქვემდებარებული მცენარეთა სახეობების დათვალიერება, ფრინველთა ბუდეების და ხელფრთიანთა თავშესაფრების საპროექტო ტერიტორიაზე არსებობის დადგენის მიზნით. მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით, საჭიროების შემთხვევაში, განისაზღვროს და სააგენტოსთან შეთანხმდეს ზემოქმედების თავიდან აცილების, შერბილების და/ან საკომპენსაციო ქმედებები;
7. შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიამ“ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 6 თვის ვადაში უზრუნველყოს 8 სმ-ზე ნაკლები დიამეტრის მქონე „წითელი ნუსხით“ დაცული ხე-მცენარეების გადარგვის სამუშაოების ჩატარების გეგმის ან/და აღნიშნულის საკომპენსაციოდ სხვა სახის ღონისძიებების გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმება;
8. შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიამ“ მშენებლობისა და ექსპლუატაციის პერიოდში, ეგზ-ის ანძების განთავსების დერეფანში და მათ მიმდებარედ უზრუნველყოს საშიში გეოლოგიური პროცესების (განსაკუთრებით საპროექტო N27 და N28 ანძების სიახლოვეს არსებულ მეწყერულ სხეულზე) მონიტორინგი, ხოლო სიტუაციის გართულების შემთხვევაში შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების გატარება;
9. შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიამ“ მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს ნარჩენების მართვის გეგმის სამინისტროსთან შეთანხმება მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს N211 ბრძანების შესაბამისად, ხოლო ნარჩენების მართვა განხორციელოს „ნარჩენების მართვის კოდექსის“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნებისა და ვალდებულებების და შეთანხმებული ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად;

10. შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიამ“ საქმიანობის განხორციელებისას უზრუნველყოს „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვა;
11. შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიამ“ უზრუნველყოს „ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 ივლისის N348 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება;
12. შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიამ“ საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ განსაზღვრული შესაბამისი ტექნიკური პირობების დაცვით;
13. შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიამ“ მშენებლობის დაწყებისა და ასევე ექსპლუატაციაში შესვლის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს სააგენტოს;
14. შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიამ“ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განხორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
15. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიას“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
16. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
17. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ასევე თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
18. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<https://edocument.ge/mea/public/#/701-21-4-202412161650>

